სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

28.01.2014 № 12

თბილისი

სტუდენტთა მობილობის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2014 წლის 17 იანვრის №29 ბრძანების, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 27 იანვრის №1061 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან სწავლების სხვადასხვა საფეხურებზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე რეგისტრაციის შემდეგ (2014 წლის 3-13 თებერვალი www.eqe.ge) განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2014 წლის 14 თებერვლიდან 18 თებერვლის ჩათვლით. საბუთები მიიღება ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით, 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი N350);
2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ს კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტებმა (სამშენებლო; ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის; სამთო-გეოლოგიური; ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის; სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის; არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის; ბიზნეს-ინჟინერინგის; ინფორმატიკისა და მართვის სისტემების) მოამზადონ მოტივირებული დასკვნები და წარადგინონ ისინი სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად არა უგვიანეს 20 თებერვლისა;

5. 2013-2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და თანდართული დოკუმენტაციით სსიპ – განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში წარდგენა უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2014 წლის 21 თებერვლისა;
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს სწავლების დარგში ლ.კლიმიაშვილს;
7. ბრძანება განთავსდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ა.ფრანგიშვილი

ვიზები:
რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
ლ.კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი.ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
ზ.მაისურაძე

მობილობის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის დედანი და ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
4. ატესტატის (დიპლომის) ასლი;
5. ეროვნული გამოცდების სერტიფიკატის ასლი (არსებობისშემთხვევაში);
6. სტუდენტის სახელზე გამოცემული ყველა ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
7. სამხედრო მიწერის მოწმობის დედანი და ასლი (ვაჟებისათვის).

შენიშვნა: მობილობის წესით დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება სტუ-ს სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების შესაბამისად, საფაკულტეტო დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე.